ვამტკიცებ: ქ. ფოთის საჭადრაკო კლუბი
"ნანა"-ს დირექტორი: /დ. კოდუა/

შეთანხმებულია: საქართველოს ჭადრაკის
ფედერაციის გენერალური მდივანი: /ბ. ბეგიტაძე/

ფოთის XVII საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი
ნანა ალექსანდრიას თასი – 2024

ქ. ფოთი 15-24 ივლისი, 2024 წელი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორები:

- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.
- საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
- ფოთის საჭადრაკო კლუბი "ნანა".

ჩატარების ადგილი - ფოთის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი (ზერაგიას ქ. 49).

1. ფესტივალის ტურნირები და ღონისძიებები

1.1 A ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 1901 და მეტი, ასევე ფიდეს წოდებიანი მოჭადრაკეები);
1.2 B ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 2000 და ნაკლები, აგრეთვე ურეიტინგო მოჭადრაკეები);
1.3 C ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 1800 და ნაკლები, აგრეთვე ურეიტინგო მოჭადრაკეები);
1.4 D ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 1600 და ნაკლები, აგრეთვე ურეიტინგო მოჭადრაკეები);
1.5 E ღია ტურნირი (ფიდეს ურეიტინგო მოჭადრაკეები)
1.6 I ბლიც ტურნირი - ირაკლი ლოლუას თასი;
1.7 II ბლიც ტურნირი - გიორგი გამზარდიას თასი;
1.8 10 წლის ჭაბუკთა შორის (2014 და შემდეგ წლებში დაბადებულნი);
1.9 10 წლის გოგონათა შორის (2014 და შემდეგ წლებში დაბადებულნი);
1.10 8 წლის ჭაბუკთა შორის (2016 და შემდეგ წლებში დაბადებულნი);
1.11 8 წლის გოგონათა შორის (2016 და შემდეგ წლებში დაბადებულნი);

2. ფესტივალის სათამაშო წესები

2.1 განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

2.2 ფესტივალის ტურნირებზე მოქმედებს ფიდეს (FIDE) სამართლიანი თამაშის წესები https://handbook.fide.com/files/handbook/ACCProtectionMeasures.pdf

2.3 დროის კონტროლი: A ღია ტურნირში – 90 წუთი 40 სვლაზე, შემდეგ 30 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე. B, C, D და E ღია ტურნირებში და ასაკობრივ ტურნირებში 90 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე;

2.4 ფესტივალის ტურნირები გაიმართება შვეიცარული სისტემით, 9 ტურად;

2.5 ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;

2.6 ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში ტურის დამთავრებიდან 15 წუთის განმავლობაში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად ფოთის საჭადრაკო კლუბი "ნანა"-ს საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

3. ფესტივალში მონაწილეობა

3.1 ფესტივალში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. აუცილებელია ასაკობრივ ტურნირებში დაბადების მოწმობის და ღია ტურნირებში პირადობის მოწმობის წარმოდგენა.

3.2. მონაწილეებმა ტურნირზე დასარეგისტრირებლად უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/t9FRZAEWQcDFx7Bz6

3.3. საქართველოს მოქალაქეებს, ასევე მუდმივი და დროებითი ბინადრობის უფლების მქონე პირებს რომელთაც არ აქვთ უცხო ქვეყნის ფიდეს ID, უნდა ჰქონდეთ გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. ასევე, შევსებული ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა (დანართი 1)

4. ფესტივალის განრიგი

თარიღი	ტური	8 და 10 წლამდე. B, C, D, E ღია	A ღია
15 ივლისი	ჩამოსვლა / რეგისტრაცია	12:00-20:00	12:00-20:00
16 ივლისი	I ტური	**15:00**	**18:30**
17 ივლისი	II ტური	11:00	11:00
18 ივლისი	III ტური	11:00	11:00
19 ივლისი	IV ტური	11:00	11:00
	ბლიცი	17:00	17:00
20 ივლისი	V ტური	11:00	11:00
	საფეხბურთო ტურნირი	17:00	17:00
21 ივლისი	VI ტური	11:00	11:00
22 ივლისი	VII ტური	11:00	11:00
	ბლიცი	17:00	17:00
23 ივლისი	VIII ტური	11:00	11:00
24 ივლისი	IX ტური	11:00	11:00
	დახურვა	18:00	18:00

5. გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება

5.1 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით); 2. ბუჰგოლცი; 3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა; 5. პროგრესი (რეგრესით).

5.2 A ღია ტურნირში გამარჯვებულ მოჭადრაკეს ფულად პრიზთან ერთად გადაეცემა ნანა ალექსანდრიას სახელობის თასი;

5.3 ყველა ტურნირში I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით. II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით;

5.4 ასაკობრივ ტურნირებში გამოვლინდება და თასით და დიპლომით დაჯილდოვდება 7 და 9 წლის მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო შედეგის მქონე ჭაბუკი და გოგონა.

5.5 ყველა მონაწილეს გადაეცემა ფესტივალში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

5.6 სპეციალური პრიზები: ა. არჩილ ებრალიძის პრიზი – თითოეულ ტურნირში საუკეთესო ფოთელი მოჭადრაკეებისათვის; ბ. ირაკლი (ბოჩიკა) ლოლუას სახელობის პრიზი – საუკეთესო ფოთელი მწვრთნელისათვის;

6. საპრიზო ფონდი 60 000 ლარი

პრიზები არ დაიბეგრება

ტურნირი	კატეგორია	1	2	3	4	5	6	7	8
ღია A (1901>)	ღია	10000	6000	4000	3000	2000	1500	1000	800
	ქალთა	2000	1500	1000					
	ELO 2300<	600							
ღია B (2000<)	ღია	2000	1400	900	500	300			
	ქალთა	500	350	200					
	ELO 1900<	450							
	სენიორები (01.01.1965 - მდე დაბ.)	250							

ღია C (1800<)	ღია	1500	800	500	300	200
	ქალთა	350	250	150		
	ELO 1700<	310				
	სენიორთა (01.01.1965 - მდე დაბ.)	200				
	U12 (2011წ.)	300				
ღია D (1600<)	ღია	1000	700	400		
	ქალთა	300	200	100		
	ELO 1500<	250				
	U12 (2012წ.)	240				
ღია E (ურეიტინგო)	ღია	600	400	300		
	ქალთა	210	160			
	U12 (2012წ.)	180				
I ღია ბლიც ტურნირი	ღია	450	300	200		
	ქალთა	150				
	ELO 2000<	130				
	ELO 1700<	95				
	U16 (2008წ.)	110				
	U12 (2012წ.)	90				
II ღია ბლიც ტურნირი	ღია	450	300	200		
	ქალთა	150				
	ELO 2000<	130				
	ELO 1700<	95				
	U16 (2008წ.)	110				
	U12 (2012წ.)	90				
10წლ. ჭაბუკები		450	300	200		
10წლ. გოგონები		450	300	200		
8წლ. ჭაბუკები		450	300	200		
8წლ. გოგონები		450	300	200		

- თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ფულადი პრიზი არ იყოფა.
- ერთი და იგივე მონაწილის მიერ ერთ ტურნირში რამდენიმე პრიზის მოპოვების შემთხვევაში პრიზიორს გადაეცემა მხოლოდ ერთი უდიდესი პრიზი. ეს პუნქტი არ ეხება A ღია ტურნირში მონაწილე ქალ მოჭადრაკეებს - A ღია ტურნირში თუ ქალი მოჭადრაკე მოიპოვებს 2 პრიზს როგორც ღია ასევე ქალთა კატეგორიაში, მაშინ მას აქვს ორივე პრიზის აღების უფლება.
- პრიზების, მათ შორის თასის და მედლის მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დაწრება.

6.1 მწვრთნელთა კონკურსი:

8 და 10 წლამდე ასაკობრივ ტურნირსი 1-3 ადგილებზე გასული მოჭადრაკეების მწვრთნელები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით:

I ადგილი	300 ლარი
II ადგილი	250 ლარი
III ადგილი	200 ლარი

- მწვრთნელთა კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ ფესტივალის ასაკობრივ ტურნირებში თამაშობდეს მისი არანაკლებ 5 მოსწავლე.
- კონკურსში მონაწილეობისათვის მწვრთნელმა უნდა წარმოადგინოს მოსწავლეთა სახელობითი განაცხადი მე-3 ტურის დაწყებამდე.

7. საწევრო შესატანი

- საწევრო ასაკობრივ ტურნირებში – 70 ლარი.
- საწევრო B, C, D და E ღია ტურნირებში – 100 ლარი.
- საწევრო ბლიც ტურნირებში – 30 ლარი.

A ღია	თანხა
2501 > და GM, WGM, IM, WIM	0
2401 - 2500	80 ლ.
2301 - 2400	90 ლ.
2201 - 2300	100 ლ.
2101 - 2200	120 ლ.
2001 - 2100	150 ლ.
1901 - 2000	250 ლ.

საბანკო რეკვიზიტები: ა(ა)იპ "ფოთის საჭადრაკო კლუბი ნანა". საინდ. კოდი: 415116706
სს "საქართველოს ბანკი", **GE16BG0000000588967256**

8. მოწვეულ მონაწილეთა მიღება

მიღების პირობები GM და IM, 2024 წლის 1 ივლისის რეიტინგის მიხედვით. ---------- იგივე პირობები ვრცელდება 150 პუნქტით ნაკლები რეიტინგის მქონე WGM და WIM	1	2700+	ერთადგილიანი ოთახი	სამჯერადი კვება	სამგზავრო ხარჯები 400$ ეკვ. ლარებში
	2	2650-2699	ერთადგილიანი ოთახი	საუზმე	სამგზავრო ხარჯები 300$ ეკვ. ლარებში
	3	2600-2649	ორადგილიანი ოთახი	საუზმე	სამგზავრო ხარჯები 200$ ეკვ. ლარებში
	4	2550-2599	ორადგილიანი ოთახი		სამგზავრო ხარჯები 100$ ეკვ. ლარებში
	5	2500-2549	ორადგილიანი ოთახი		

8.1 სასტუმრო:

- ფოთის საცურაო კომპლექსი (სათამაშო დარბაზთან) - 4 ადგილიანი და 2 ადგილიანი. 1 ადამიანი - 25 ლარი. T: 599181656;
- სასტუმრო "Park Green" (მალთაყვაში) – 2 ადგილიანი 140 ლარი. 3 ადგილიანი 180 ლარი. T: 577689000. მისამართი - გურიის ქ. 181ა;
- სასტუმრო "პალიასტომი" (მალთაყვაში) – 2 ადგილიანი 35 ლარიდან - 80 ლარამდე. T: 0493278202. მისამართი - პეტრე ზამბახიძის ქ. 5;
- სასტუმრო კოლხეთის ეროვნულ პარკი ჯეო პალასი (მალთაყვაში) - 2 ადგილიანი 70 ლარიდან. 2 საძინებლიანი კოტეჯი - 150-200 ლარი. T: 0493222223, 552223222. მისამართი - გურიის ქ. 222.

8.2 კერძო სექტორი – ღირებულება 25 ლარიდან.

8.3 მონაწილეთა სატურნირო შესატანს, ცხოვრების, კვების და გზის თანხას იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ტურნირის დირექტორი: ფიდეს საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა
საკონტაქტო ტელეფონები: 593-399-264, 593-600-911
E-mail: chesspoti@yahoo.com
www.chesspoti.ge
https://www.facebook.com/AleksandriaCup2024